[illegible]

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის
1931 წლის
10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов

№82 (6308) სამშაბათი 10 ივლისი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

6 თვის გეგმა გადაჭარბებით

მიმდინარე წლის განვლილ 6 თვეში საგეგმო მაჩვენებელი 215 ათასი მანეთის მომსახურებას ითვალისწინებდა, მოსახლეობას კი 217 ათასი მანეთის მომსახურება გაუწიეს საყოფაცხოვრებო მომსახურების მშრომელებმა.

მომსახურების ნახევარწლიური გეგმა [illegible] შეასრულეს [illegible] შეკეთებისა და ინდივიდუალური კერვის, ქალთა და მამაკაცთა საპარიკმახეროების და ფოტომომსახურების სახელოსნოებმა.

ახლა კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ წლიური დავალებებიც ვადამდე და ვადაჭარბებით შეასრულოს, გააუმჯობესოს მომსახურების კულტურა და ხარისხი.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

1990 წლის 5 ივლისს მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

ყრილობის წინა სხდომაზე შექმნილ სექციებში მიმდინარეობდა დისკუსია პარტიის ორგანიზაციულ-პოლიტიკური განახლების, მისი იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის, საბჭოებთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან ურთიერთობის საკითხებზე.

დიდი დაფიქრებით, აწონ-დაწონილად განიხილავდნენ თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის საკითხებს.

მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა გარდაქმნის პერიოდში პარტიის სოციალურ-ეკონომიკური და აგრარული პოლიტიკის პრობლემებზე.

ყოველმხრივ განიხილეს და ღრმად გააანალიზეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობა, რომლის მიზანია საზღვარგარეთის პროგრესულ პარტიებთან და მოძრაობებთან მისი ურთიერთობის განვითარება და განმტკიცება.

დელეგატთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს განიხილავენ ყრილობის პლენარულ სხდომაზე.

* * *

6 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობამ. გრძელდებოდა კამათი განსახილველ საკითხთა გამო.

შემდეგ სკკპ 28-ე ყრილობის მისამართით შემოსული წერილებისა და მიმართვების ხასიათზე ინფორმაცია გააკეთა ყრილობის სამდივნოს ხელმძღვანელმა ა. ნ. ილინმა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ყრილობის მუშაობის არასაკმარისად, ფართოდ, მთელ რიგ შემთხვევებში კი ტენდენციური გაშუქების შესახებ შემოსული კრიტიკული შენიშვნების თაობაზე განმარტება გააკეთა და კონკრეტული წინადადებები შეიტანა პრესასთან კავშირის ჯგუფის ხელმძღვანელმა ლ. პ. კრავჩენკომ.

* * *

7 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

დილის სხდომას უძღვებოდა ს. ა. ნიაზოვი—თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, თურქმენეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

ყრილობის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ვ. ლ. იურჩენკოვა—გომელის ოლქის ხოინიკის №2 საშუალო სკოლის დირექტორი.

შემდეგ მოისმინეს ყრილობაზე მომუშავე სექციათა წარმომადგენლების ინფორმაციები.

მოხსენებებით გამოვიდნენ:

„პარტიის განახლების" სექციისაგან—ი. ი. მელნიკოვი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი;

„იდეოლოგიური მუშაობის" სექციისაგან—ი. ტ. ფროლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი;

„სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის" სექციისაგან—ს. ი. გურენკო, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი;

„სკკპ აგრარული პოლიტიკის" სექციისაგან—ვ. ა. სტაროდუბცევი, ტულის ოლქის ლენინის სახელობის ჯიშთსანაშენე კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის გლეხთა კავშირის თავმჯდომარე;

„პარტიის, საბჭოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების" სექციისაგან—ვ. ა. კუპცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მუშაობის განყოფილების გამგე;

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის" სექციისაგან—ა. ნ. გირენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობის" სექციისაგან—ვ. მ. ფალინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე.

მოხსენებათა დამთავრების შემდეგ ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება კამათის შეწყვეტის შესახებ.

შემდეგ ყრილობის მონაწილეთა კითხვებს უპასუხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა: ნ. ი. რიჟკოვმა—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ვ. ა. მედვედევმა და ა. ნ. იაკოვლევმა—სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა.

რძე, ხორცი: ვაჯამებთ 6 თვის შედეგებს

დასრულდა მიმდინარე წლის პირველი ნახევარი. დღეს, ჩვენი რესპუბლიკისათვის ასე დაძაბულ და სიახლეებით აღსავსე ცხოვრებაში, საგეგმო დავალების შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ იმის გამო, რომ შესუსტდა მომთხოვნელობა, ამასთან ხალხში გავრცელდა ხმები ხორცის შესასყიდი ფასების გადიდების შესახებ, მოსახლეობა, რომელსაც საიჯარო ხელშეკრულების თანახმად ყოველწლიურად 80-100 კილოგრამი ხორცი უნდა ჩაებარებინა, თავს იკავებს საკარმიდამო მეურნეობიდან ხორცის ჩაბარებაზე. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა კი, ვინაიდან მეცხოველეობის ფერმები გააუქმეს, პირუტყვი საიჯარო ხელშეკრულებით საკარმიდამო მეურნეობას გადასცეს, საზრუნავი თავიდან მოიშორეს და საკარმიდამო მეურნეობას არავითარ მზრუნველობას აღარ უწევენ, მოსახლეობაში მეცხოველეობის პროდუქტების მოთხოვნის უფლებაც დაკარგეს.

სწორედ ამან განაპირობა, რომ ხორცის და რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის 6 თვის საგეგმო დავალება შეუსრულებელი დარჩა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობებში? ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვის 6 თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ და მხოლოდ ტვიშისა და წიფერჩის კოლმეურნეობებში და საკოლმეურნეო სატყეო მეურნეობაში, ხოლო რძისა კი—ტვიშის, ალპანის, ორბელის, წიფერჩის კოლმეურნეობებსა და უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ხორცის დამზადების 6 თვის გეგმის შესრულებაში ძალზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ ალპანის, ლაილაშის, ორბელის, ჩხუტელის, ლვირიშის კოლმეურნეობებს, ხოლო რძის საგეგმო დავალების შესრულებაში ჩამორჩნენ ლაჯანის, ცაგერის, ლაილაშის, ლვირიშის კოლმეურნეობები.

ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობათა ჩამორჩენამ განაპირობა, რომ სულ რაიონში გეგმით გათვალისწინებული 1500 ცენტნერი ხორცისა და 2800 ცენტნერი რძის ნაცვლად დამზადებულ იქნა 971,4 ცენტნერი ხორცი და 2456 ცენტნერი რძე, მაშინ, როცა გასული წლის ამ პერიოდში 1901 ცენტნერი ხორცი და 4076 ცენტნერი რძე იყო დამზადებული.

ქარში პირი უჩანს წელს ლასურიაშის კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავალს. საიჯარო შრომამ, ანაზღაურების გაზრდამ გააქტიურა მშრომელები.

0,4 ჰექტარი ყანა აქვთ კოლმეურნეობის ქალის ფართობში საიჯარო წესით მოსავლელად ზაირა მუშკუდიანს და მაგული ბენდელიანს. კამრჯე ქალებს კ რგი მოვლილი აქვთ ყანა. მათ უკვე დაამთავრეს პირველი თოხნა და ყანა სასუქითაც გაანოყიერეს.

სურათზე: ზაირა მუშკუდიანი (მარჯვნივ) და მაგული ბენდელიანი თოხნიან ყანას.

ზ. გზობავას ფოტო.

განიხილავენ საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამას

პროექტში ბევრ რამეს არ დაეთანხმნენ

საქართველოს კომპარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულების პროექტში ხაზგასმულია, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია გმობს თავისი ისტორიის მანძილზე დაშვებულ შეცდომებს, ცხოვრების მართვის სტერეოტიპებს. იგი თავისი პროგრესული ამოცანების გადაწყვეტისას ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციას, არ დაუშვებს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების, მათ შორის მასში შემავალი ავტონომიური ფორმირებების ინტერესების შელახვას. პროგრამის მთავარი მიზანია საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული და ზნეობრივი ამოცანების ეტაპობრივი, კომპლექსური გადაწყვეტის საფუძველზე სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა.

გულახდილობის ვითარებაში გაიმართა ცაგერის რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელიც საქართველოს კომპარტიის პროექტის განხილვას მიეძღვნა.

კრების მონაწილეები ერთხელ კიდევ გულისყურით გაეცნენ პროექტს. კრებაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების სიმწვავე, სირთულე და წინააღმდეგობრიობა გვიკარნახებს, ხელახლა გავიაზროთ ბევრი მიდგომა პარტიული მუშაობის შინაარსისადმი, ფორმებისა და მეთოდებისადმი. დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს გულახდილობასა და კონსტრუქციულ დიალოგს, საჯაროობას, კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ძალთა კონსოლიდაციას საქართველოსა და ქართველი ერის ინტერესებისათვის.

კრებამ ერთხმად აღიარა, თუ რაოდენ საჭიროა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ჰქონდეს პრინციპული დოკუმენტი, რომელიც შემდეგ დამოუკიდებელი კომპარტიის საფუძველი უნდა გახდეს.

ამიტომ თითოეული მუხლი და პუნქტი პროექტისა მკაცრად გაიშიფრა. ითქვა, რომ ბევრი შეუსაბამობა და წინააღმდეგობრივი აზრია ჩადებული პროგრამაში.

თითქოსდა დამოუკიდებლობის, პასუხისმგებლობის ამაღლების მოტივით პარტიაში მიღება იწყება და მთავრდება პარტიულ ორგანიზაციაში, რაც სწორად არ მიიჩნიეს. ეს ერთგვარად სწევს პარტიის ავტორიტეტს, გზას უხსნის ყველა ჯურის მსურველს პარტიაში შესასვლელად.

კრების მონაწილეები არ დაეთანხმნენ პარტიული ჯგუფების არსებობის აუცილებლობას. ცხოვრებამ დაგვანახა, თქვეს კომუნისტებმა, რომ ეს ჯგუფები გადაიქცა პარტიის დანამატად, ფორმალიზმის ბუდედ.

არც პარტბიუროს არჩევას დაეთანხმენ პირველადებში 2-3 წლის ვადით. განახლება უნდა მოხდეს ყოველ 2 წელიწადში მაინც, იგივე შენიშვნა გამოითქვა პარტიის რაიონული კომიტეტის უფლებამოსილების ვადის თაობაზე.

სოფლად, ითქვა კრებაზე, უმჯობესია ფუნქციონირებდეს რეგიონალური პარტიული ორგანიზაციები სასოფლო საბჭოებთან, რომლებიც კოორდინირებულად წარმართავენ მუშაობას, უფრო მეტს გააკეთებენ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პრობლემების გადაწყვეტისათვის.

პროგრამაში მითითებულია: „პარტიიდან გასულს უფლება აქვს კვლავ შევიდეს პარტიაში".

პარტიულ დისციპლინას, ამაღლებისა და ავტორიტეტის განმტკიცებისა მიზნით, არ უნდა მოხდეს გასულის ხელმეორედ პარტიაში მიღება.

„საქართველოს კომპარტიას რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განუხრელი ზრდის მაგისტრალურ გზად საბაზრო ეკონომიკა მიაჩნია". ამ ფორმულირებას დაეთანხმნენ კრების მონაწილეები, მაგრამ ისიც თქვეს, რომ შეუთავსებელია სოციალიზმი და საკუთრების ყველა ფორმის, აგრეთვე თავისუფალი მეწარმოობის დაშვება, რასაც პროექტი ითვალისწინებს.

კრების მონაწილეებმა ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობის პირველ ეტაპზე, მეორე ეტაპისათვის მზადებაზე.

მიმდინარე ხუთწლედის 4 წლის განმავლობაში ვრთნახევარჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობა ორლოვის ოლქის ურიცკის რაიონში. იყენებენ ახალი ეკონომიკური ურთიერთობის ფორმებს: ოჯახური ფერმები, ფერმერული მეურნეობები, იჯარა მსხვილი წარმოების პირობებში —რძის კომპლექსები, მოიჯარეთა კოოპერატივები.

ბედი არ სწყალობდა მოიჯარე ევგენი იაკოვლევს (სურათზე— ქალიშვილთან ერთად). მან ორჯერ გაიყვანა მოზვრები კოლმეურნეობიდან გასაზრდელად; მაგრამ რატომღაც შედეგი არ ჩანდა. ბოლო ორ წელიწადში მან შეძლო შეეძინა ტრაქტორი, სათესი, მოსავლის ამღები მანქანა. მეზობლებმა ამის გამო მას „კულაკი" შეარქვეს. ამ რამდენიმე თვის უკან ის დააჯილდოვეს სიგელით „საუკეთესო მოიჯარე—89.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს პრეზიდიუმს მოვითხოვთ ახალგაზრდების სახელით

სახალხო დეპუტატთა დღევანდელი რაიონული საბჭო, რომელიც სამი წლის უკან არჩეულ იქნა ყოველგვარი დემოკრატიისა და საჯაროობის უგულვებელყოფის პირობებში არ, ან ვერ წარმოადგენს იმ ორგანოს, რომელსაც შეუძლია ილაპარაკოს ლეჩხუმელი ხალხის სახელით.

მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოში უნდა მოეწყოს საყოველთაო დემოკრატიული (მრავალპარტიული) არჩევნები. ანალოგიური არჩევნები ადგილობრივ საბჭოებში მოგვიანებით ჩატარდება.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოს უზენაესი ხელისუფლება ადგილობრივ ხელისუფლებასთან აღმოჩნდება სრულ შეუსაბამობაში. შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო გულწრფელად ვაცხადებთ, რომ რაიონულ საბჭოში წარმოდგენილი ახალგაზრდა დეპუტატები (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ) ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ გამოხატავენ რაიონის ახალგაზრდობის ინტერესებს, რის გამოც უშედეგო ხდება ხელისუფლების ორგანოებში მათი მონაწილეობა. გამოვდივართ რა რაიონის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესებიდან, მოვითხოვთ:

1. სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ, მისმა პრეზიდიუმმა თავიანთი საქმიანობის პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღონ მხოლოდ და მხოლოდ რაიონის ფართო საზოგადოებრიობის, ახალგაზრდობის აზრის გათვალისწინებით.

2. რაიონული საბჭოს პრეზიდიუმში ცალკე გამოიყოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივმოქმედი კომისია, რომლის ხელმძღვანელობა დაევალოს ერთ-ერთ ახალგაზრდა დეპუტატს.

3. რაიონული საბჭოს რიგგარეშე სესიამ, რომელიც უნდა გაიმართოს არაუმეტეს ერთი თვის ვადაში, განიხილოს საკითხი ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების კუთხით რაიონში შექმნილი რთული მდგომარეობის შესახებ.

ჩვენი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მივმართავთ საპროტესტო ღონისძიებებს.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის სათათბიროს სახელით:
გიორგი კვირკაშვილი
მარინე სვანიძე
სოზარ ლარცულიანი
ღაღი ხვადაგიანი
თამილა მეგრელი
ნუგზარ კოპაღიანი

სოფელში ერთი ქალია . . .

მეწყრულმა მოვლენებმა სოფელ ჩხუტელში მცხოვრებ ბევრ ოჯახს დაუნგრია ბუდე. ბევრმა შეცვალა ადგილ-სამყოფელი, ნაწილი ცაგერში დასახლდა, ნაწილიც ბოლნისისაკენ გაუყვა გზას. აბრეშუმის მურის რეალიზაციისა და აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა კი კოლმეურნეობისათვის ისევ უცვლელია. 1000 გრამი მურიდან 1900 კილოგრამი აბრეშუმის პარკის დამზადება კვლავ დარჩა ძალაში მიმდინარე წელსაც.

ჩხუტელელებს აბრეშუმის პარკის დამზადების კარგი ტრადიცია გააჩნიათ, თავის შერცხვენა არც წელს უნდათ, ამიტომაც წასულ მეაბრეშუმეთა სიმძიმე დანარჩენებმა გაინაწილეს. თუ გასულ წლებში თითოეული ოჯახი საშუალოდ 5 გრამ მურს უვლიდა, წელს ბევრმა 10 გრამი და მეტიც გაიყვანა. ამ ენთუზიაზმს არც აგრონომი და არც კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა არ მოელოდა.

სასიამოვნოა, რომ სოფლის ცნობილ, სახელოვან მეაბრეშუმეთა პლეადას ახალ-ახალი სახელები ემატება.

დღეს ერთ-ერთ მათგანზე მინდა მოგითხროთ. . . იგი დილა ადრიანად მეუღლესთან ერთად აბრეშუმის პარკის ცაგერის მიღებ პუნქტში მიიჩქაროდა. საკვირველ მოსავალს არ მოელოდა, მაგრამ რადგან სხვა საქმესთან ერთად აბრეშუმის მურის გამოკვებაც იკისრა, არ სურდა თავი შეერცხვინა.

ციალა მურცხვალაძე ჩხუტელელთა რძალია, ჭარმაგი, შავგვრემანი, სანდომიანი. მასში აშკარად იგრძნობა ვაჟკაცური შემართება, სახეზე რაღაც უჩვეულო შინაგანი ნათელი გადასდის. ხუთი ათეული წელი კრიალოსანივით ჩამოიმარცვლა. შვიდი წელია კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში მუშაობს, ოჯახურ იჯარაშიც არის ჩაბმული. წელს აბრეშუმის მურის გამოკვებაც ივალდებულა და იმ დღეს საკუთარი თუთით გამოკვებილი 36,6 კილოგრამი აბრეშუმის ხარისხიანი პარკი შემატა საერთო დოვლათს. იცის, რომ მეაბრეშუმეობის განვითარებას საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

მეუღლე, ვალოდია ვასილის ძე მურცხვალაძე, კოლმეურნეც არის და მუშაც. იჯარით სასიმინდესაც უვლის და ზვარსაც. მე რომ რაიმე მეკითხებოდეს გლეხისათვის იჯარულ შრომაზე უკეთესი ფორმა არ არსებობსო, შარშან კოლმეურნეობას თავისი მივუტანე, ჩემს ნალიაზე კრ 600 კილოგრამ სიმინდზე მეტი შევიტანე—მიხსნის ვალოდია, თუ სიტყვას—დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს!—საქმე არ მივაყოლეთ, უშველის რამე ჩვენს გაჭირვებას?

ვალოდია სარემონტო—სამშენებლო უბანშიც მუშაობს ასფალტის დაგებაზე, ამ ძნელ საქმეს მთელი მონდომებით ემსახურება. როგორც ბევრს, ვალოდიასაც დაენგრა სახლ-კარი. ერთ ხანს კოლმეურნეობის კანტორის შენობაში ცხოვრობდა ოჯახი. ადგილის დედის სიყვარულმა დაჯაბნა, ვერ დათმო სოფელი, არც ბოლნისში წავიდა და არც ცაგერში დასახლებაზე გამოუწია გულმა, ჩხუტელში, კლდის ძირის უბანში შეისყიდა სახლი. საკარმიდამოდ კი ისევ დახლეჩილ, ნაწილებად ქცეულ მიწას იყენებს. ჯერჯერობით ჩემს ოჯახურ მოთხოვნილებას ვიკმაყოფილებ, შარშან 300 კილოგრამი ხორცი სახელმწიფოსაც მივყიდეო, გვეუბნება ვალოდია.

ქალბატონმა ციალამ მეოთხედ განიცადა დედობის სიხარული. სამი ქართველი დედა და ერთი ფუძის გამგრძელებელი შემატა ქვეყანას. გამოჩენილ ადამიანებს უთქვამთ: მარტოოდენ დედობა აძლევს ქალს უფლებას „პატივცემულად" იწოდებოდეს.

ბ. ბაქრაძე.

აკაკი — 150

პოეტის შემოქმედება ცხოვრების გაკვეთილია

დიდია ლიტერატურის გაკვეთილების საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. იგი მოწოდებულია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა პიროვნების ფორმირებას, მისი ზნეობრივი სახის გამოკვეთას, ეხმარება მოსწავლეს გარესამყაროს შეცნობასა და სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

გაიარა ცხოვრებამ და ბევრი რამ გახდა გულგასატეხი, წლებითა და საუკუნეებით კერპადქცეული ადამიანები დამსხვრეულ მითებად იქცნენ. მაგრამ, საბედნიეროდ, გვყვანან ღირსეული შვილები ქვეყნისა, რომლებსაც დროის მსვლელობა მეტ პატივს მიაგებს და სამაგალითონი ხდებიან მომდევნო თაობებისათვის.

ერთ-ერთ მათგანს წლეულს დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა და მშობელი ხალხიც მოწიწებით აღნიშნავს ამ ღირსეულ თარიღს.

აკაკი წერეთელი — მავედრებელი მამულის დარიანი დღის დადგომის, მეტად ახლობელი და საყვარელი ქართველთათვის. პოეტის პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი მადლიანი კალამი აღმზრდელია იმ დიადი გრძნობებისა, სამშობლოს სიყვარული, ერის სამსახური, მოძმეთათვის თავდადება, სიკეთე, სიმართლე, პატიოსნება, მოყვასის გატანა, მშობლებისადმი პატივისცემა, ერთგულება და კაცის უღალატოდ ცხოვრება რომ ჰქვია.

აკაკი წერეთლის შემოქმედების სწავლება იწყება დაწყებითი კლასებიდან და ერთგვარად ჯამდება მეათე კლასში. მოსწავლეებმა მასწავლებლის მითითებით უწყვეტად უნდა იკითხონ ყველა ჟანრის ნიმუშები, ზეპირად ისწავლონ ლექსები. მათი უმრავლესობა ხომ სასიმღეროდაა გაჭრილი ხალხში, ტკბილხმოვანი და მომხიბლავია მეტად, ჭკუის დამრიგებელი და გზის მაჩვენებელია შთამომავლობისათვის.

მე-10 კლასში ვერ დავიწყებთ ახალი მასალის ახსნას, თუ არ შეიქმნა ფონი საფუძვლიანი მუშაობისათვის. ბავშვებს მოვაგონებთ ნასწავლ მასალას, ვისაუბრებთ ნაწარმოებთა მიზანდასახულობაზე, მოვამზადებთ შემდეგი გაკვეთილისთვის. პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა ისე უნდა წარიმართოს, რომ მოსწავლეებმა აშკარად დაინახონ სასიქადულო მამულიშვილი, ერისკაცი, სიმართლისათვის მებრძოლი.

საუბრის დროს მისი პორტრეტი უნდა უცქეროდეს ბავშვებს, მისი დინჯი შუბლი, სევდიანი თვალები, საქვეყნო საქმისათვის მზრუნველი და მოჭირნახულე, ერთი შეხედვითაც უნდა ეამოკვეთონ იმთავითვე.

„მიყვარს საზოგადოდ ბავშვი, უგულითადესად, პატივსა ვსცემ მოხუცებულობას, ღირსეულად ვაფასებ ვაჟკაცობას, მაგრამ გული კი ჰაბუკობისაკენ მიმიწევს და ყველაზე უფრო იმას შეფარვით ვეტრფიალები!“

ალბათ იმიტომ, რომ ჰაბუკობა ხანაა შლეგიანი, მაგრამ გადამჭრელი, აქციები, უკანდაუხევი. განსაკუთრებით ქართველი ამ პერიოდში თავს არავის დაიჩაგვრინებს. ამას ამტკიცებს ყოველდღიური ცხოვრება.

მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიგონ მოძრაობა და მისი მნიშვნელობა, რადგან იგი ადამიანთა ურთიერთობასთან არის დაკავშირებული და არა ქედმაღლობასთან. ძიძისადმი პატივისცემა, დედა-სალოცავი ხატი, ზნეობრივი სიფაქიზე, ღმრთისადმი სიყვარული ანკარა წყაროსებრ მოედინებოდა აკაკის მხურვალე გულიდან.

მშობლებისადმი სიყვარული და პატივისცემა ერთი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მასალაა აკაკის ცხოვრებიდან. ამ მხრივ ბავშვებს ვავალებ წაიკითხონ პირადი წერილები მშობლებისადმი, რომლებიც მთავრდება მინაწერით—თქვენი მონა შვილი აკაკი.

„ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგულო ყოფილიყვნენ და შვილები დღევანდელ დედებზე ნაკლებ ჰყვარებოდეთ. აქ სულ სხვა მიზეზები და საფუძველი იყო, ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას. გარდა ნათელ-მირონობისა, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზრდელ-გაზრდილობა. არათუ ძიძიშვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვარენიც კი მზად იყვნენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედვათ გაზრდილის გულისათვის და გაზრდილიც მარად ექომაგებოდა ამ ხალხს და მათი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამ გონივრული ჩვეულების მიზეზი იყო ჩემი სოფელში გაბარებაც და კურთხეულ იყოს ეს ჩვეულება!“ (ბავშვები მოიგონებენ ბიძაშვილობის ამსახველ ნაწარმოებებს, ფილმებს, თუნდაც „მთვარის მოტაცება“).

მოსწავლეები უნდა დავაკვირვოთ სოფლის ოჯახის საქმიანობაზე, სადაც ჩანს მუდმივი ფუსფუსი, ერთმანეთისადმი პატივისცემა, კეთილგანწყობილება, ხალისიანი შრომა, პატარები უფროსების გვერდით, სამწყემსურში გართობა-თამაშობანი, რაც მეტად სასიამოვნო იყო მათთვის, ახლა კი... ეხალისებათ ჩვენს ბავშვებს ასეთი შრომა?

ჩვენთვის, მასწავლებლებისთვის საგულისხმოა აკაკის შეგონებითი ნათქვამი: „უმაწვილი ბუნებასთან ნაზიარია, ყოველთვის სურს, რომ თავისი გულისპასუხი სხვებსაც გადასცეს, შეატყობინოს. ეს მხოლოდ შეუძლია თავის ტოლ ამხანაგებთან. ხშირად, როდესაც უმაწვილი ველარა ჰხედავს ტოლ ამხანაგებს, უსულო საგნებს ესაუბრება, პირუტყვებთან ხომ ისე სიამოვნებით მუსაიფობს, რომ მეტი აღარ შეიძლება, მხოლოდ დიდებთან ვერ ახერხებენ უმაწვილები სიტყვა-პასუხსა და გულს არ უხსნიან მათ. ეს კი თვით უფროსების მედიდურობისა და აუყოლებლობის ბრალია“.

აკაკის ამ სიტყვებმა მეტად უნდა ჩაგვაფიქროს, ჩაგვახედოს უმაწვილის სულში, გვაპოვნინოს მასთან საერთო და გულის გასაღები.

ბიოგრაფიული ცნობების სწავლებისას ბავშვების წინაშე უნდა წარმოვაჩინოთ პოეტი— როგორც სხარტი, ენამჭევრი, რაც ბოლომდე გაჰყვა (მოვისტუდენტობის საუკეთესო წარმომადგენლებს საერთო იდეური განწყობილებანი აერთიანებდათ. ეროვნული და სოციალური განთავისუფლების იდეალები თუ ჩემი აზრით, ილიასა და აკაკის იქ არსებული შემოქმედებითი ურთიერთობა ძირია იმ ქართველთა სათვისტომოების შექმნის და მოქმედების, ცეცხლმოდებულ გულებს რომ შვებას მისცემს და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ზრუნვას რომ მიუერთებენ თავიანთ კანონიერ მოთხოვნებს.

აკაკის და ილიას ურთიერთობაზე ბავშვებმა თვით უნდა აწარმოონ ძიება, რაც გამოვლინდება სწავლების პროცესში ინფორმაციათა წარმოდგენით, მასალა გამდიდრდება თანამშრომლობის გზით. მოვიყვან ერთ ფაქტს, 1860 წლის „ცისკრის“ ნომერში დაიბეჭდა ლექსი „ამაოძებნა“ ანუ „მწირის ღამე“, სადაც დახატულია მეოცნებე ჰაბუკი, რომელიც არაგვის ნაპირზე ჩაფიქრებული თვალს ადევნებს წყლის დენას და საქარ-

გაკვეთილები

ბლებისადმი, რომლებიც მთავრდება მინაწერით—თქვენი მონა შვილი აკაკი.

„ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგულო ყოფილიყვნენ და შვილები დღევანდელ დედებზე ნაკლებ ჰყვარებოდეთ. აქ სულ სხვა მიზეზები და საფუძველი იყო, ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას. გარდა ნათელ-მირონობისა, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზრდელ-გაზრდილობა. არათუ ძიძიშვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვარენიც კი მზად იყვნენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედვათ გაზრდილის გულისათვის და გაზრდილიც მარად ექომაგებოდა ამ ხალხს და მათი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამ გონივრული ჩვეულების მიზეზი იყო ჩემი სოფელში გაბარებაც და კურთხეულ იყოს ეს ჩვეულება!“ (ბავშვები მოიგონებენ ბიძაშვილობის ამსახველ ნაწარმოებებს, ფილმებს, თუნდაც „მთვარის მოტაცება“).

მოსწავლეები უნდა დავაკვირვოთ სოფლის ოჯახის საქმიანობაზე, სადაც ჩანს მუდმივი ფუსფუსი, ერთმანეთისადმი პატივისცემა, კეთილგანწყობილება, ხალისიანი შრომა, პატარები უფროსების გვერდით, სამწყემსურში გართობა-თამაშობანი, რაც მეტად სასიამოვნო იყო მათთვის, ახლა კი... ეხალისებათ ჩვენს ბავშვებს ასეთი შრომა?

ჩვენთვის, მასწავლებლებისთვის საგულისხმოა აკაკის შეგონებითი ნათქვამი: „უმაწვილი ბუნებასთან ნაზიარია, ყოველთვის სურს, რომ თავისი გულისპასუხი სხვებსაც გადასცეს, შეატყობინოს. ეს მხოლოდ შეუძლია თავის ტოლ ამხანაგებთან. ხშირად, როდესაც უმაწვილი ველარა ჰხედავს ტოლ ამხანაგებს, უსულო საგნებს ესაუბრება, პირუტყვებთან ხომ ისე სიამოვნებით მუსაიფობს, რომ მეტი აღარ შეიძლება, მხოლოდ დიდებთან ვერ ახერხებენ უმაწვილები სიტყვა-პასუხსა და გულს არ უხსნიან მათ. ეს კი თვით უფროსების მედიდურობისა და აუყოლებლობის ბრალია“.

აკაკის ამ სიტყვებმა მეტად უნდა ჩაგვაფიქროს, ჩაგვახედოს უმაწვილის სულში, გვაპოვნინოს მასთან საერთო და გულის გასაღები.

ბიოგრაფიული ცნობების სწავლებისას ბავშვების წინაშე უნდა წარმოვაჩინოთ პოეტი— როგორც სხარტი, ენამჭევრი, რაც ბოლომდე გაჰყვა (მოვისტუდენტობის საუკეთესო წარმომადგენლებს საერთო იდეური განწყობილებანი აერთიანებდათ. ეროვნული და სოციალური განთავისუფლების იდეალები თუ ჩემი აზრით, ილიასა და აკაკის იქ არსებული შემოქმედებითი ურთიერთობა ძირია იმ ქართველთა სათვისტომოების შექმნის და მოქმედების, ცეცხლმოდებულ გულებს რომ შვებას მისცემს და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ზრუნვას რომ მიუერთებენ თავიანთ კანონიერ მოთხოვნებს.

აკაკის და ილიას ურთიერთობაზე ბავშვებმა თვით უნდა აწარმოონ ძიება, რაც გამოვლინდება სწავლების პროცესში ინფორმაციათა წარმოდგენით, მასალა გამდიდრდება თანამშრომლობის გზით. მოვიყვან ერთ ფაქტს, 1860 წლის „ცისკრის“ ნომერში დაიბეჭდა ლექსი „ამაოძებნა“ ანუ „მწირის ღამე“, სადაც დახატულია მეოცნებე ჰაბუკი, რომელიც არაგვის ნაპირზე ჩაფიქრებული თვალს ადევნებს წყლის დენას და საქართველოს დიდებულ წარსულს იგონებს. საგულისხმოა, რომ ამ კეთილშობილი ჰაბუკის სახეში აკაკიმ ილია ჭავჭავაძე იგულისხმა.

ბავშვებს ამ დროს წაკითხული აქვთ კლიმენტი გოგიავას „ილიაობა“, სადაც ეცნობიან ილიას, აკაკის, ვაჟას ურთიერთობას.

ვიხსენებთ პოეტის ნათქვამს: „ორმოც წელიწადზე მეტია, რაც მე და ილია ერთმანეთს ვიცნობთ და არაოდეს ერთმანეთთან პირადი უსიამოვნება და უკმაყოფილება არ გვქონია, პირიქით, გარდა სიამ-ტკბილი შეურა-შეხვედრისა და ზრდილობიან დარბაისლურ სიტყვა-პასუხისა ერთი-მეორისაგან არა გვინახავს რა!“

მნიშვნელოვანია აკაკის როლი თაობათა შორის ბრძოლაში. აკაკი წერეთელმა იმოქმედა ძველი თაობის იდეურ დამარცხებაში. მოსწავლეთა წინაშე უნდა წარმოვაჩინოთ პოეტი, როგორც ქართული ენის დიდი მეხოტბე. მისი შენარჩუნების, აყვავებისათვის მებრძოლი. იგი მდაბიო ხალხში ეძებდა ქართული ენის საფუძველს და სათავეს: ქართული ენა ინახება მდაბიო ხალხში. იქ არის ენის სალარო. ბევრი სიტყვაა დარჩენილი ხალხში, რომელიც ჩვენ არ ვიცით. კაბინეტში მოგონილ სიტყვებს ყოველთვის სჯობია ის, შენებრი ქართული სიტყვები, რაც ხალხში მოიძებნება. ამიტომ საჭიროა ხალხური ზეპირსიტყვაობის შეკრება, რომელიც აგვაცილებს თავიდან კაბინეტში მოგონილს უხერხებელ სიტყვებს. ზეპირსიტყვიერების შეკრება იქნება პირველი ნაბიჯი ლექსიკონის შედგენისკენ“.

დიდია მოღვაწეობა პოეტისა ქართულ ფოლკლორში. ხალხური ლექსები, შაირები, ზღაპრები, თქმულება... ლეგენდები, ოგვ-არაკები და სხვანი, წერს აკაკი—რაც ეს შეადგენს ზეპირსიტყვაობას, საზოგადოდ ყოველი ხალხისათვის ძვირფასი განძია, როგორც მტკიცე საძირკველი მისი ისტორიისა და უტყუარი სარკე მისი წარსული ეროვნებისა. თუ არ მომაკვდავი ხალხი, ისე ამ განძზე ხელს ვერ აიღებს ვერც ერთი სიცოცხლის მოსურნე ერი.

აკაკის ეს შეგონება სამოქმედოა ქართველთათვის. ქართული ენის მოჭირნახულენი, მათ შორის მოსწავლეები მტკიცედ ადგანან ამ გზას.

სწავლების პერიოდში მოსწავლეებს ვავალებ ნიჭიერ კალმოსანთა შეფასებების შეკრებას, რომელიც სჭირდებათ პოეტის ნიჭიერებისა და საქვეყნო საქმისათვის ზრუნვის გაცნობისათვის. დღეს, ყველა ქართველი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ გაიყიდა საქართველოს მიწა-წყალი, საკუთარ ლუკმას შეგვეზიარა უცხო ტომი და ლამის პირიდან გამოგვაცალოს იგი, რაც ვაი ხელმძღვანელთა უგერგილო მუშაობის შედეგია, ანდა მათი ჯიბის გასქელების მსხვერპლი. აკაკი ამას იმთავითვე გრძნობდა და ანდერძად უტოვებდა შთამომავლობას, არ დაეშვათ ეს საშინელი დანაშაული. „არც ერთი ქვეყანა ისე მდიდარი არ არის მადნეულობით, როგორიც ჩვენი. აქ არათუ ქვანახშირი, სპილენძი, რკინა, ქვანავთი, ტყვია, მარმარილო და ამგვარები, უფრო ძვირფასი მადნეულებიც დიდძალი არის. ჩვენ უნდა მათზე თვალი გვეჭიროს და ვეცადოთ ხელიდან არ გავუშვათ. ეს ჩვენ ქვეყანას კეთილდღეობას მოპმატებს, თუ ჩვენ გვექნა და თუ ხელიდან გავუშვით—დაგვღუპავს“.

დიახ, ქვეყანა უყვარდა პოეტს, მისი მომავლის იმედით სუნთქავდა, დადიოდა, ეცნობოდა ყოველ გოჯ მიწას, მის ხალხს. აკი თვითონვე ამბობს.

„ჩემს ქვეყანას კარგად ვიცნობ, მომიკლია კიდით-კიდე“.

ჩვენ კი მთავარი ყურადღება უნდა შევაჩეროთ აკაკის მოგზაურობაზე რაჭა-ლეჩხუმში, გადავცეთ მოსწავლეებს ხალხის აღტაცება, საქმიანი შეხვედრები, განსაკუთრებით მეზობელ სოფელ ლაილაშში.

მოსწავლეებში ფესვი უნდა გაიდგას პოეტის დიდმა დამსახურებამ სამშობლოსა და ხალხის წინაშე. პოეტის და ხალხის ურთიერთობამ, რაც ნათლად გამოვლინდა მისი დაკრძალვის დღეს, იგი გადაიქცა გრანდიოზულ სახალხო დემონსტრაციად. სწავლების პროცესში მიზანმიმართულად ვიყენებ თვალსაჩინოებას, ტექნიკურ საშუალებებს, დიაფილმებს, ეპიდიასკოპს. თუ შესაძლებელი იქნა ვაჩვენებ ფილმს „აკაკის აკვანი“.

აკაკი წერეთელი წინასწარმეტყველურად ამბობდა: „საქართველოს უფრო დიდებული მომავალი ექნება, ვიდრე აწმყო“— შევეურებთ მომავალს, გვჯერა მგოსნის შთამაგონებელი ნათქვამისა. ღმერთო მომმადლე ქართველს მხნეობა, აღუდგინე თავისუფლება თავის მამულში!

ნ. ფრუიძე.

ალპანის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ფასები და ბაზარზე გადასვლა

ჩანს, ჩვენი ხალხის სიყვარულმა ფუფუნებისა და დელიკატებისადმი განსაზღვრა მთლამი მთავრობის კონცეფციის დამოკიდებულება რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის. გათვალისწინებულია, კერძოდ, უკომპენსაციოდ დატოვონ საიუველირო ნაკეთობათა, ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს ნაწარმის, ხორცისა და თევზის სხვადასხვა სახის პროდუქციის, მოდური საქონლის, ცალკეული სახის საყოფაცხოვრებო ტექნიკის მორიგი გაძვირება. თუმცა, ეს სრულიადაც არ არის ჩვენი მომავალი აუნაზღაურებელი დანაკარგების სრული ნუსხა.

და მაინც როგორ წყდება ფასების საკითხი? როგორც ჩანს, აირჩევენ მოთხოვნის წესს. და მაშინაც ბუნდოვანი განსაზღვრისას კონცეფციის ავტორები განსაკუთრებული ზრუნვის გარეშე შეძლებენ შეაფარდონ მთელი ხარისხიანი ხორცისა და თევზის პროდუქტები, მთელი მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი, მთელი საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ელექტრონიკა, თვით ლითონის მარტივი ნაკეთობანიც—ისინიც კი ამჟამად რომ მთლიანად შეიძლება მივაკუთვნოთ ფუფუნების საგნებს. ჩვენი მაღაზიების ცარიელმა თაროებმა ადამიანები მიაჩვია ყოველი ნივთის ყიდვა დიდ წარმატებად მიიჩნიონ.

კონცეფციის ავტორები გვარწმუნებენ, რომ დასახული ფასების მომატება დაკავშირებულია არა თვით ბაზართან, არამედ წარმოადგენს ახალ, მხოლოდ უფრო ეფექტიან ეკონომიკაზე გადასვლის პირობას. მაგრამ მილიონობით ჩვენი მოქალაქე, და ეს გვიჩვენა აქამდე არნახულმა მღელვარე აჟიოტაჟურმა მოთხოვნილებამ, უწინარეს ყოვლისა, შეწუხებულია სწორედ მომავალი გაძვირების ზრდით.

მათ შეიძლება გავუგოთ. ბაზარზე გადასვლისათვის საზოგადოებას მოუწევს მთლიანად გადახდა. საეჭვოა ვინმემ სერიოზულად ჩათვალოს მთავრობის პროგრამით გათვალისწინებული მცირე თანხები, რომლებიც გამიზნულია თითოეული ოჯახის მატერიალური დანაკარგების ასანაზღაურებლად. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვიცოდეთ, თუ რა დაგვრჩება ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.

საქართველოში

იჯარით მიტოვებული მიწები

ქალაქ წყალტუბოს მახლობლად მაღლაკის საბჭოთა მეურნეობის მოიჯარეებმა ათჰექტარიან მიწის მასივზე საუკეთესო აგროვადებში დაამთავრეს პოსტნეულისა და მარცვლეული კულტურების თესვა.

ამ უპერსპექტივოდ მიჩნეულ მიწის ნაკვეთზე, მიწადმოქმედთა პროგნოზით, ჰექტარზე გადაანგარიშებით, თითქმის ორჯერ მეტი მოსავალი მოვა, ვიდრე საბჭოთა მეურნეობის ნაკვეთებზე.

ყველაფერი ადამიანთა დაინტერესებაზეა დამოკიდებული. თითოეული მოიჯარე სეზონის განმავლობაში მეურნეობასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხელფასის დამატებით ორიდან ხუთი ათას მანეთამდე მიიღებს.

„ვეფხისტყაოსანი“ ესპერანტოს ენაზე

გამომცემლობა „საქართველომ“ ხუთიათასიანი ტირაჟით ესპერანტოს ენაზე გამოსცა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. პოემა თარგმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის თანამშრომელმა, ბიოლოგიური მეცნიერების კანდიდატმა ზურაბ მაყაშვილმა.

— თარგმნას ათი წელი და ხუთი თვე მოვანდომე, —თქვა მან.—შრომა მძიმე გამოდგა, მაგრამ უფრო გამიჭირდა თვითონ წიგნის გამოცემა. მიუხედავად ამისა რუსთაველის სიყვარულმა ყველა წინააღმდეგობა დამაძლევინა და მიზანს მივაღწიე. ვფიქრობ, ათ მილიონიან ესპერანტისტიდან ბევრი ინტერესით წაიკითხავს პოემას და დაინტერესდება ქართული პოეზიით. მეორე მხრივ ქართველი ახალგაზრდობა ესპერანტოს მიიღებს.

საგზურები კოლმეურნეებისათვის

სოხუმის რაიონის სოფლების გუმისთისა და ახალდარის კოლმეურნეობათა პროფკავშირულმა კომიტეტებმა და გამგეობებმა შეიმუშავეს ერთობლივი კომპლექსური პროგრამა „ჯანმრთელობა“, და მისი რეალიზაციისათვის თავიანთი სახსრები და ძალისხმევა გააერთიანეს. ბევრი რამ გაკეთდა შარშან ორივე სოფლის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების, შრომის, საბინაო, სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. გუმისთაში შენდება ახალი ამბულატორია.

სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ დიდი ფულადი შემოსავალი კოლმეურნეობებს საშუალებას აძლევს ზეგეგმითი მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი მოახმარონ პროგრამა „ჯანმრთელობის“ შესრულებას.

ეს საინტერესოა

კობრამ ჩაშალა სასამართლოს სხდომა

ხუთმეტრიანმა შავმა კობრამ ენით აუწერელი შიში მოჰგვარა სიერალეონეს ქალაქ ბოს საქალაქო სასამართლოს სხდომის მონაწილეებს. საზარელმა რეპტილიამ შენობაში შეაღწია ღრიჭოდ დატოვებული კარიდან და ნამდვილი პანიკა გამოიწვია. გამომძიებლები, პროკურორი, სასამართლო მსაჯულები და მცველი პოლიციელები, რომელთაც არაერთხელ ჰქონიათ საქმე საშიშ დამნაშავეებთან, შეკრთნენ და ყვირილით მიაწყდნენ საშველ ფანჯრებს. ვერც ტრავმას გადაურჩნენ. გაქცევის დროს წაიქცა და ფეხი მოიტეხა მოსამართლე მომომ. მაგრამ რალაც სასწაულით მან მაინც მოიკრიბა ძალა და შეძლო ფანჯრიდან გადახტომა მოტეხილი ფეხით, რათა თავი დაეღწია შხამიანი რეპტილიისათვის. თვითონ კობრა კი სრულიადაც არ შეუკრთა მომხდარ ფურორს, მან მშვიდად ამოირჩია თავისთვის დოკუმენტების ღია კარადა, სადაც დაჰყო დაახლოებით ნახევარი საათი, სანამ მუშებმა არ მიირბინეს და არ მოკლეს დაუპატიჟებელი სტუმარი. უხუცესი მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ ასეთი უზარმაზარი შავი კობრა მათ პირველად ნახეს იქ. „სიმშვიდის დამრღვევის“ გამომშრალი ტყავი ახლა სასამართლოს ერთ-ერთ დარბაზს ამშვენებს.

(საქინფორმი).

გილოცავთ

ნუნუ მამარდაშვილს
მიშა უჩაძეს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, ერის სასახელო შვილი გაზრდილიყოს, შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ნინა, ნინო, ნუგზარ სალინაძეები, ვარლამ, თამარა, ნათელა, ნანა, ბანჩო გოლეთიანები.

ნინა დიმიტრის ასულ ჩარკვიან-ჭაბუკიანს

გილოცავთ შვილის რანი (ხუხა) რაფიელის ძე ჭაბუკიანის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის დაცვას.

სიხარული ნუ მოგკლებოდეთ.

მარო, ლეო, გურამ ჩარკვიანები ოჯახებით.

ნორა სალინაძეს
ჯუმბერ ბენდელიანს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ნამდვილი ქართველი ქალი.

ცაგერის სარემონტო სამშენებლო უბნის თანამშრომლები.

ლალი ლევანის ასულ ჩიქოვანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ წარმატებებს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. სიხარული და ღიმილი ნუ მოგკლებოდეთ.

მადონა ბერიძე, მარიკა მუშკუდიანი.

მეუღლე ლიანა, შვილები ნანი, დალი, მარინე, გოგი, რძალი ნაირა, სიძეები ყორა ჯანგავაძე, მირზა ლიპარტელიანი, ემზარ კვირკაშვილი, შვილიშვილები ოლეგი, ლაშა, დათო, ლია, ნინო, დათო, ძმა გურამი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სტავნიკო ილიკოს ძე ამბროლიანი

დაკრძალვა 12 ივლისს, ხუთშაბათს, სოფ. მახურაში.

ამბერკი ცვარიანი, ამირან ფუტკარაძე, რაინდ ჩხეტიანი, მალხაზ ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ცვარიანი

სონა, ბიქტორ, გრიშა, ბუჭუ სალინაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პასიკო ალექსის ასული ჭაბუკიანი

ოთარ ყურაშვილი, ომარ გვიშიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ზაურის ძე ცვარიანი

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომთან არსებული პარტიული კომისია იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კომისიის წევრი

გალაქტიონ ლავრენტის ძე სალინაძე

საშენი მასალების სამეურნეობათშორისო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაგული გურგუჩიანს ბებიის

პასიკო გურგუჩიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საცალო ქსელის ვაჭრობის მუშაკები თანაუგრძნობენ ლილი გურგუჩიანს დედის

პასიკო ჭაბუკიანის

გარდაცვალების გამო.

მალაქი ლიპარტელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

სტავნიკო ილიკოს ძე ამბროლიანი.

შოთა ბობოხიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლევან ზაურის ძე ცვარიანი

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულო, დალი ცვარიანებს შვილისა და ძმისშვილის

ლევან ცვარიანის

გარდაცვალების გამო.

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილებისა და დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გენო, სერიოჟა ღურჭუმალიძეებს სიძის

დიდიმი კაპანაძის

გარდაცვალების გამო.

ავდიდო, ბადრი კვირკაშვილები, სოზარ ბურჯალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სტავნიკო ამბროლიანი.

ჯონდო სალინაძე, ოლეგ ბერელაშვილი, ბადრი ხეცურიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სტავნიკო ამბროლიანი

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible] განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №[illegible] 66880, ტირაჟი 4000

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.